საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიცი

დიცი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. პატარა ლიახვის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: დ., არბო, ქორდი). ზ. დ. 880 მ, გორიდან 27 კმ, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 კმ. 1,3 ათ. მცხ. (2002).

დ. იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) იმ სოფლების სიაში, რ-თა სავარგულები მდ. პატარა ლიახვით ირწყვება. სოფლის განაპირას დგას გვიანდ. ფეოდ. ხანის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია.

ჯ. გვასალია